მიღება-ჩაბარების აქტი №130

ქ. მცხეთა 3 ----- აგვისტო 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი საერთაშორისო ურთიერთობათა და პროექტების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის ანა ხოშტარიას სახით, და მეორეს მხრივ, შპს „დრიმ თრეველი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ჩხეიძის სახით, ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 13 ივლისს გაფორმებული №130 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელმა უზრუნველყო ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ: მ/წ 1-2 აგვისტოს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და ევროკავშირის დაფინანსებით (მიმდინარე პროექტი - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და DCFTA საქართველოში), რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft fur Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH)) პროგრამა „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ (GIZ PSD SC) ერთობლივად დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ქ. ბათუმში, მოწვეული სტუმრებისათვის (ევროპოლის წარმომადგენელი - ქნ. ბერენგერო დრენო და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წარმომადგენელი - ქნ. სანდრა ვენს) ავიაბილეთების (საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების CPV-60400000) შესყიდვა. კერძოდ: DRENO/BERENGERE ANNE CLAUDE, პერიოდი: 30.07.2016 – 02.08.2016, რეისი: ამსტერდამი-სტამბული-ბათუმი-სტამბული-ამსტერდამი, მომსახურების ღირებულება: 2034,60 ლარი; და WENS/SANDRA FRANCINE MARTINE, პერიოდი: 31.07.2016 – 02.08.2016, რეისი: ბრუსელი-სტამბული-ბათუმი-სტამბული-ბრუსელი, მომსახურების ღირებულება: 1974 ლარი.

გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს: 4008,60 (ოთხი ათას რვა ლარი და სამოცი თეთრი) ლარს.

აქტი სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერებით.

„შემსყიდველი“
„საქპატენტი“
საერთაშორისო ურთიერთობათა და
პროექტების მართვის
განყოფილების მთავარი სპეციალისტი ა. ხოშტარია

„მიმწოდებელი“
შპს „დრიმ თრეველი“
დირექტორი ნ. ჩხეიძე